საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/121

27 მაისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თინათინ კვაჭაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის „განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ 2020 წლის ხელშეკრულების, ,,ბსუ-ს დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცებისა და ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 ივლისის N01-02/102 ბრძანების, „2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად "განათლების მეცნიერებები" სადოქტორო საგანმანათლებლო ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 19 თებერვლის №01-08/27 ბრძანების, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის №134 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება N06-01/123, 22.11.2021 წ) დებულების მე-7-8 მუხლების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 2021 წლის 30 დეკემბრის N06-01/142 დადგენილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ ზოგიერთი დოქტორანტისთვის საგამონაკლისო დაშვების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N06-01/143 დადგენილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (17.05.2022, ოქმი №23-20/08) და სადისერტაციო საბჭოს მდივნის სამსახურებრივი ბარათის (25.05.2022, №545365) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თინათინ კვაჭაძის სადისერტაციო ნაშრომის** - „ინგლისური ენის მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პრაქტიკის კვლევა საქართველოში“ **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 11 ივნისს, 13:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, III სართული, 55-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ანზორ ბერიძე - ბსუ-ს პროფესორი (**სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე);**
   2.2. თამარ სირაძე - ბსუ-ს პროფესორი;
   2.3. დალი მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი);**
   2.4. ნატო შეროზია - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.5. ნანი მამულაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.6. ნანა მაკარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.7. ქეთევან შოთაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.8. ნანა მაზმიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.9. ზეინაბ გვარიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

3. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. ვ. ბალაძე) და საბჭოს მდივანს (ასოც. პროფ. დ. მახარაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**